**რედაქცია**

...პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-... ...ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

...თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-...(გვარამის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак- „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

...წლით . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

**გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა**

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, სტრიქონზე 1 კაპ., ...სტრიქონზე ნახევარი კაპ., ...სტრიქონზე 8 კაპ.

...განცხადებანი... ...წერილებს. ...

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ხუთი შაური.


**ნახევარ წლის ხელის-მოწერა.**

ნახევარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მ. ...ანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

ალექსანდრია, 12 ივლისს. ეგვიპ-...ს ქედივმა გამოსცა ბრძანება, რომ-...ს მალითაც არაბი-ფაშა მოღალატედ გამოცხადებულია და ამისათვის იმას ჩამოერთმევა ყველა თანამდებობანი.

პეტერბურღის ბირჟა, 12 ივლისს

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 93—87 1/2 |
| მეორესი— — — — | 90—37 |
| მესამესი — — — — | 90—75 1/2 |
| მეოთხესი — — — | 90—25 |
| მეხუთესი — — — | 90—1/2 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 89—37 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—12 1/2 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—50 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8—23 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 212—25 1/2 |
| მეორე სესხის — — | 211— „ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—06 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ქუთათური ამბები

**მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის სტუმრობა.**

ოთხს ამ თვისას საღამოს საკრებულო ეკკლესიის მოედანი და გუბერნატორის სახლის კარ-მიდამო მოცული იყო კაი-ძალი ხალხით, რომელიც მოელოდა მთავარ-მმართებლის მობრძანებას. რამდენიმე საათის შემდეგ მათი მოლოდინი ასრულდა: თ. დონდუკოვ-კორსაკოვი თავის ამალით ჩამოხტა გუბერნატორის სახლთან, სადაც პურ-მარილით და ამ შემთხვევისთვის რამდენიმე შესაფერი სიტყვებით დახვდა ქალაქის თავი, გენერალიტეტი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ნესტორ წერეთელი და მაზრისა თ. ალმასხან ნიჟარაძე, და დ. წულუკიძე, საპატიო ყარაული, იმქრები და სხვ....

მთავარ-მმართებელი გადაეხვია თავის სიყმაწვილის დროის თანა-მომსახურეს თ. გრიგოლ დადიანს, ხელი ჩამოართვა რამდენიმე ღენერალს კიდევ, მიიღო იქვე რამდენიმე თხოვნები და შებრძანდა მოსასვენებლად. საკრებულო ეკკლესიაში შესვლა აღარ უნებებია.

ერთს კურიოზულს ამბავს იმ დღეს მოუთხრობდნენ (და დღეს კიდევ უფრო დაბეჯითებით ამბობენ), რომელიც სოფ. ბალდაში მოსვლისას ქუთაისის მაზრის წინამძღოლს თ. ალმასხან ნიჟარაძეს და მაზრის უფროსს ნ. ჩიჯავაძეს. პირველს მათგანისთვის ქართულად დაუწერიათ და დაუზეპირებიათ გარემოების შესაფერი სიტყვა თ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი სათქმელად და თან დიდის ქაპან-წყვეტით, როგორც იქნა, უთქვამს კიდეც. ჯერი მიმდგარა მთარგმნელზედ, რომელიც კიდეც ყოფილიყო მომზადებული, ესე იგი წინ-და-წინ რუსულად გადათარგმნილი და დაზეპირებული ჰქონოდა. მაგრამ მათდა საუბედუროდ, სიტყვის დაბოლოვებისათანავე მთავარ-მმართებლისათვის თარგმნა დაუწყია, მაზრის უფროსს რომელიც ისე აჩირებულად და უხეიროდ მოჰყოლია რუსულად, რომ თვით-მმართებელს შეუწყვეტინებია სიტყვა... ამბობენ მთავარ-მმართებელს მიტომ უფრო ეტოშა ჩიჯავაძის თარგმანი, რომ ამ უკანასკნელმა, როგორც ავი ენები ამბობენ პატკოვის მოსაწონ „ატლიჩიესთვის",—„ჩვენი (ქართველი) თავად-აზნაურობა მოგესალმებათ"... გადაუთარგმნია: **привѣтсвуетъ Васъ русское** (რუსის) **дворянство...—какое русское?** (სადაური რუსისო) უკითხავს. **—русское дворянство...** ზაფათითებულ ზარმაც შაგირდსავით მიუგია კიდევ უხამს მთარგმნელს.

მეოთხე დღეს დილით მის ბრწყინვალებას გამოეცხადა თავად-აზნაურობა და უკანასკნელს სათავად-აზნაურო კრებაში არჩეული დეპუტაცია, რომელსაც უნდა ეთხოვა, რომ, როდესაც ჩვენს მიწებს ძალით იფლობენ, საკუთრების აღდგენა პოლიციას მიენდოსო. ერთმა ამ დეპუტაციის წევრმა თ. დავით ივ. აბაშიძემ მოახსენა შემდეგი:

„თქვენო ბრწყინვალებავ,

„ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მდგომარეობა დღეს სრულიად დამოკიდებულია უკიდურესს გაჭირვებათავან. ამ გაჭირვებულ მდგომარეობამ უჩვენა მას საშუალება, რომ თავის დეპუტაციის პირით მოემართა თქვენის ბრწყინვალებისათვის. თავად-აზნაურობა თავის მომავლისათვის ფრიად სასიხარულო მოვლენად სთვლის თქვენის ბრწყინვალების დანიშვნას კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობაზე, და არ მალავს იმ მანუგეშებელ რწმუნებას, რომელიც ნებითა ზანგებისათა თქვენ გსახავსთ მისს თვალში მზრუნველ მამად, გამოჩინებულ მოღვაწედ და ბრძენ მმართველად უმაღლესის ნებითა თქვენის ბრწყინვალებისადმი მინდობილის ვრცელის ტერრიტორიისა.

„თუმცა ეს დრო ერთობ ძნელს ეპოქას შეადგენს თავად-აზნაურობის ცხოვრებაში, მაგრამ ის მაინც ღირსებით ითმენს ყოველ-გვარს გაჭირვებას იმ სანუგეშო მოლოდინის გამო, რომ თქვენის ბრწყინვალების მარადის მეცადინეობით მოშორდება მას ის დაბრკოლებანი რომელნიც ასე ხელს უშლიან აზნაურობის ეკონომიურს წარმატებას, გონებითს და სულიერს განვითარებას. თავის წინაპრებისამებრ თავად-აზნაურობა მოცულია განუსაზღვრელის ერთ გულებით ყოვლად მოწყალე ხელმწიფისა და იმ ალგზნებულის მისწრაფებით რომ განუდგომლად მიემართებოდეს თქვენის ბრძნულის დარიგებისაგან ნაჩვენებს გზაზედ.

„ამიტომაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა წარმოადგენს თქვე-

---

**„დროების" ფელეტონი, 14 ივლისი**

## საერო თამაშობანი და გართობანი ძველს საქართველოში

(დასასრული *)

დიდი კრივების დაბოლოების დროს, დამარცხებული მხარე ქვებს აიღებდნენ ხელს ხოლმე; ქვის კრივი იმართებოდა. მაშინ მებრძოლნი დიდს მანძილზედ გაუდგებოდნენ ერთმანეთს და შეიქნებოდა საშინელი ქვების სროლა შურდულით. ეს იარაღი მეფის დავითისა დიდს ხმარებაში იყო: ყოველ ქართველს უნახავდით ...ბეში. და, უქსოვდა აბრეშუმის შურდულს თავის საყვარელ ძმას, ახალგაზდა ცოლი—ქმარს და დედა—თავის ცელქ-ბიჭს. შურდულის ხმარებასაც ცოდნა და სიმარდე უნდოდა. დღემდის ახსოვს ხალხს შესანიშნავი მოშურდულე მახარებ-შვილი მიტრო, რომელიც სცხოვრებდა ამ 60-70 წლის წინად.

პატივ-დებაში იყო საქართველოში აგრეთვე **სარდასტის-კრივიცა**. ეს იყო ნამდვილი სამხედრო ვარჯიშობა, რომელიც საშიშიც იყო კარგად გაუწვრთნელთათვის.

სარდასტის კრივი ყველ იერში იცოდნენ, ბოტანიკურის ბაღის მახლობლად, თათრების სასაფლაოსთან, ეგრედ წოდებულ დაბახანის ხეობაში.

გამოჩენილის გმირის ვასილ ბებუთოვის ძმა, ღენ.-ლეიტ. დავით ბებუთოვი, სიყმაწვილეში თავ. ციციანოვის დროს (1803—1806 წ.) დიდ მონაწილეობას იღებდა ხოლმე ამ სარდასტის კრივში. ერთ კრივში თავადმა მიიღო ჭრილობა ტუჩზედ. იმან დასტოვა ჩინებული და დაწვრილებითი აღწერა ამ სამხედრო თამაშობისა *).

ყველიერის პირველ დღეებში, თ. დ. ბებუთოვის სიტყვით, მოწინააღმდეგენი ამოირჩევდნენ თავიანთვის შაჰებს, ჩააცმევდნენ მდიდრულად, დასვამდნენ ტახტზედ გამოსაჩენ ალაგას, სადამაც უნდა დაენახა ყველა გამვლელი, ქვეითი თუ ცხენოსანი. ქუჩაში ეჭირათ მდიდრულად მორთული შაჰის ცხენი და აქვე იყო იმის მხლებელი ჯარი, რომელიც ქუჩის სახელით იწოდებოდა. ყოველ ქუჩას ჰქონდა თავის დროშა. ბრძანებლობდნენ და რიგს აძლევდნენ გამოჩენილი მეომარნი.

კვირამდინ ყოველ გამვლელ-გამომვლელს ახდევინებდნენ, შაჰის სასარგებლოდ, ვისაც რამდენი შეეძლო. ხანდისხან დიდ-ძალი ფული იკრიფებოდა ამ რიგად. ამ ფულით უმასპინძლდებოდნენ ხოლმე თამაშობაში მონაწილეობის მიმღებთ. პირველ კვირის ორშაბათს გაიმართებოდა ღენერალური ბრძოლა შაჰებს შორის. დიდ-მარხვის წინ, კვირა დილით მოლაპარაკება გაიმართებოდა. ძალიან სცდილობდნენ შაჰები, როგორმე გარ-

*) იხ. „დროება" № 143.

*) „სამხედრო კრებული" 1867 წ., №№ 6 და 7. ცხოვრება თ. დ. ი. ბებუთოვისა.

ნის ბრწყინვალების კეთილ-განსახილველად თავის განსაკუთრებულსა მდგომარეობას, მოკლებულს იმ მთავარ დასაბამთა, რომელთაგანაც დამოკიდებულია მომავალში მისი ბედნიერება, ზნეობითი წარმატება და ეკონომიური კეთილ-დღეობა.

„ამასთანავე თავად - აზნაურობას ბედნიერება აქვს თავის დეპუტაციის პირით გამოგიცხადოსთ, რომ ყოველივე მისი იმედი თქვენს ბრწყინვალებაზეა მომართული...

## დღიური

ზეგლილ შაბათსა და კვირას ტფ. სამხედრო ოლქის სასამართლომ, სამხედრო კანონების წესით, განიხილა ათი კაცის საქმე, რომელთაც პოლკოვნიკის ფონ-მრტელის თავს-დასხმასა, დაჭრას და გაცარცვას აბრალებდნენ. ეს დამნაშავენი არიან: ლალიევი, ჩხეიძე, ახალაძე, ზახაშვილი, მარეხაშვილი, არაქელოვი, ქახუაშვილი, ზოდერძოვი, ზაბუნია, და ზამცემაძე.

ორი ამათგანი—ზაბუნია და ზამცემაძე სასამართლომ სრულიად გაათავისუფლა, სამს 20—15 წლით ციმბირში (კატორღაში) გაგზავნა გაუმწესა და დანარჩენ ხუთს-კი სიკვდილით დასჯა—ჩამოხრჩობა... ერთობ სასტიკი სასჯელია...

დამნაშავეებს საჩივრის ნება არა აქვთ; ამათი ბედ-იღბალი ახლა მთავარ-მმართებლის ხელშია, რომელსაც პატიების უფლება აქვს უმაღლესად მონიჭებული.

ამ საინტერესო საქმის განხილვის დროს სასამართლოში ბევრი უწესო მოქმედება აღმოჩნდა პოლიციის აფიცრის ლოლაძისა და გამომძიებლის ხოსროევისა, რომელთაც სხვა-და-სხვა არა-კანონიერ საშუალებით უმოქმედნიათ დამნაშავედ აღმოსაჩენად. სხვათა შორის, ამ ათ ბრალდებულში ერთმა თავიანთვე ამხანაგმა გასცა, რომელსაც ბ. ლოლაძე დაჰპირებოდა, ოღონდ მითხარი—ვინ იყვნენ ფონ-მრტელის გაცარცვის დროს შენი ამხანაგები და შენ გაპატიებო(!). ამას მართლა გაეცა, მტყუანთ შორის მართლებიც დაესახელებინა და თვითონ საქმის გარჩევამდინ თავის უფლად დაიარებოდა. მაგრამ ბევრ მაყურებელს არ სწყენია, როსდესაც სასამართლომ კარას ამ გამცემსაც თავის ამხანაგებთან ერთად ჩამოღრჩობა გარდაუწყვიტა.

დამნაშავეებში ერთი ოსი ურევია, რომელმანც გასცა თავის ამხანაგები, ორი სომეხი და დანარჩენი ქართველები არიან (იმერლები და მეგრელი).

* * *

ამ სიცხეში სასიამოვნო ამბავი ტფილისელებისათვის: ამბობენ, მთავარ-მმართებელის თ. დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით, კვირაში ორი თუ სამი დღე სასახლის ბაღი საზოგადოებისათვის ღია იქნებაო და მსურველს შეეძლება იქ სეირნობაო

თ. ვორონცოვის დროს ეს ბაღი ღია იყო და, თუ ახლაც გააღეს, რაღა თქმა უნდა, რომ ერთობ კარგი იქნება ქალაქის მცხოვრებთათვის, რომელთაც სუფთა ჰაერი და სასეირნო ადგილები ასე ნაკლებათა აქვთ.

* * *

ცოფიანი ძაღლები გაჩნდნენ ჩვენს ქალაქში. ამას წინად ერთმა ამ გვარმა ძაღლმა რამდენიმე კაცი დაკბინა აბანოების უბანში, სხვათა შორის, ერთი პოლიციის სალდათიც, რომელსაც იმის მოკვლა უნდოდა.

ამის გამო ქუჩებში მაწანწალა უპატრონო ძაღლების ხოცვას შეუდგნენ. მაგრამ სანამ ყველა ამისთანა ძაღლებს გაჟლეტდნენ ჩვენს ქალაქში, მანამ ბევრი წყალი ჩაივლის მტკვარში და მანამ ყველას სიფრთხილეს ურჩევთ...

* * *

ერთმა ქალაქის ეკკლესიის დიაკვანმა მიხ. ხუნაშვილმა შემოგვჩივლა მღვდელზე ლაზარე იაკიმოვზე, რომელიც შავის ზღვის ნაპირიდამ დროებით არის აქ თურმე დანიშნული, რომ ჩემი წილი ვთხოვე შემოსავლისაო და იმან, ჩემი კანონიერი თხოვნის შესრულების მაგიერ, ქოლგა დამარტყა თავში ისე მძლავრად, რომ ეს ქოლგა ხელში შემოატყდაო.

ხშირად იჩაგრებიან დიაკვნები ამ გვარად თავიანთ მღვდლებისაგან და დროა, რომ უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ ამ გვარ მოქმედებას ყურადღება მიაქციოს. ხშირად დიაკვნები ჩივილსაც კი ვერ გაბედვენ თავიანთ უფროსზე, მთავრობა უნდა იყოს ამათი დამცველი...

—

შეცდომა. გუშინდელ (144) ნომრის ბეჭდვის დროს, შეცდომით, მეორე გვერდი გაზეთისა მესამის მაგივრად არის გაშვებული და მესამე კი მეორის მაგიერად.

## „დროების“ კორრესპონდენციები

გურია, 7 ივლისს. სხვა საქართველოს კუთხეთა შორის ჩვენც გვეწვია ახალი მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი და მოგვეცა შემთხვევა გამოგვეთქვა მისი ბრწყინვალებისათვის ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა.

როცა გურიაში პირველად გავრცელდა ხმა, რომ მთავარ-მმართებელი მობრძანდებაო, ხალხი დიდს აღტაცებაში იყო და ემზადებოდნენ სათხოვრებით მიგებებას: სურდათ მისი ბრწყინვალებისათვის აეხსნათ თავიანთი გაჭირვება, მიეხსენებიათ რა და რა წესების შემოღებაა საჭირო ჩვენს ქვეყანაში ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის.

ახლა ნახეთ რა ხელი მოგვიწყო პოლიციამ! დაიბარა ყველა მამასახლისები და გამოუცხადა „არძას დაგიწერთ, ხელი მოაწერინეთ საზოგადოებას და მიართვით მთავარ-მმართებელსო“.

მამასახლისებმ, როგორც ნამდვილმა ქვეშევრდომებმა, აღთქმა მისცეს. დასწერა პოლიციამ თხოვნები და დაურიგა მამასახლისებს ზემოხსენებულ ბრძანებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ან გამოიცვლებოდნენ, და ან საპყრობილეში ჩაბრძანდებოდნენ.

მამასახლისები ვალდებულნი ვახდნენ აესრულებინათ ბრძანება...
ყარეს საზოგადოებას ხელი-მ...
რათ. მაგრამ საზოგადოება არ გ...
ჯა ისე, როგორც მათ ეგონათ!...
ცა ძალიან დაფაცურდენ მამას...
სები მუქარებით და სხვებით, ...
საზოგადოებამ უარი უთხრა იმ...
წერილო არძაზე ხელის მოწერაზ...
ცა შეიტყვეს რა ეწერა იმაში.

თუმცა მე თვითონ წავიკითხ...
არძა (თხოვნა), მაგრამ არ შემ...
რიგიანად გარდმოგცეთ, რადგან...
ლი გასაგებია მათი (ჩვენი პოლ...
ჩინოვნიკების) კანცელარიული...
ყვები; ვეცდები გ დმოგცეთ რო...
მოვახერხებ და შევიძლებ; შემ...
ვეცდები პირი მოგართვათ ამ თ...
ნისა. სხვათა შორის არძაში გ...
ხადებული იყო შემდეგი თხოვნა ხ...
ხისა:

1) არ გამოუშვან თავდებით...
პყრობილიდამ ტუსაღები, რაც ...
ცოტა დანაშაულობაზე იყვნენ ...
რილი;

2) გადაასახლონ გურიიდამ ...
კაცი თავადი, აზნაური და გლე...
რომლებსაც ჩვენ და პოლიცია ...
ვენებთო და ამასთანავე გამოეცხ...
სო ხალხს, რო გადასახლება ყ...
თვის იქნებაო, ვისაც გვიჩვენებ...

3) მიემატოს უფლება პოლი...
სო, ასე რო ვისაც უჩვენებს ...
ლეს მთავრობას პოლიციის ჩინო...
ნიკები, ის იქნას გადასახლებული...

4) შემოიღოს პოლიციამ ...
გი(!!?), როგორც ძველად იყო ...
სხვა ამ გვარი.

ამისთანა თხოვნა დაუწერა პოლ...
ციამ ჩვენ მოქალაქეებსაც; მაგ...
ამათაც უარი განაცხადეს ხელის მო...
წერაზედ. ვგონებ ერთმა ოზურგე...
ზე დაშორებულმა და მოშიშარ...
ზოგადოებამ, როგორც ამბობენ, ...
ცა პოლიციის დაწერილი თხო...
სხვებმა ყველამ დააწერინეს თხო...
ბი ერთს გამოჩენილ და სასარგებ...
აქაურს პირს და მიართვეს მთა...
მმართებელს.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ...
ამბით დახვდა ქალაქი. ოზურგე...
მახლობელი საზოგადოებანი მ...

---

დაებიოთ თავისკენ მოწინააღმდეგეთა ჯარი. თუ რომელიმე ქუჩა, რომელიც ცალკე ჯარს შეადგენდა, შაჰზე უკმაყოფილოდ შეიქნებოდა, ღალატობდა მას; მაგრამ ეს ერთობ ძვირად ხდებოდა; უფრო ხშირად, ეს განდგომილი არცერთის მხარეს აღარ იჭერდა.

ამავე კვირას, ნაშუადღევისას, შაჰები დიდის ამბით გავიდოდნენ ქალაქს გარეთ. წინ მიჰქონდათ დროშები თითოეულის ქუჩისა, შემდეგ მიდიოდა შაჰის ამალა, მერე თვით შაჰი ცხენით და უკან ჯარი სურსათითა და ხორაგეულით. ყოველ ქუჩის ჯარის წინ მოუძღოდნენ მემუსიკეები, უკრავდნენ ზურნაზედ, დაირაზედ, ბობღანზედ და საყვირს; იმღეროდნენ სამხედრო სიმღერებს, რომელშიაც ჰოძახილები მოუთხრობდნენ ხალხს წინაპართა გმირობას და თავის გამოჩენას. სულ უკან მოჰყვებოდნენ მაცეკვრები და ხუმარეები. გავიდოდნენ თუ არა ქალაქს გარედ, შაჰები სცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მოხდენილი ადგილი დაეჭირათ მეორე დღის ბრძოლისათვის. აქ დააყენებდნენ დარაჯებს, ჯაშუშებს და ორივე მხარე მთელს ღამეს ქეიფში და ლხინში გაატარებდნენ და ესე შეხვდებოდნენ პირველს განთიადს დიდის მარხვისას.

ორშაბათს, დილა-ადრიან, აუარებელი ხალხი ქალი და ბავშვებიც მიეშურებოდნენ ქალაქს გარედ და მოეფინებოდნენ ტფილისს გარშემორტყმულს სიმაღლეებს. ასტყდებოდა ომი, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას ყოველი წოდების ხალხი: თავადნი, აზნაურნი, მოხელენი, დიდი და პატარა. პატარები იწყობდნენ ხოლმე მუდამ ომს შურდულით ქვების სროლით, რომლისგან თავის დასაცველად ყოველ მეომარს ჰქონდა ნაბადი. როცა უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანერთს, ქვის სროლა შეჰსწყდებოდა და გაიმართებოდა სარდასტის ომი.

„თითქო რაღაცასი ეშინოდათ და რაღაცას მოელოდნენო, ამბობს თავ. დ. ი. ბებუთოვი. შუადღის პირველ საათზედ, მტრის ბანაკში რაღაც არეულობა შეიქნა, ჯარები თითქო დაიშალნენ, სხვა-და-სხვა მხრისკენ გაიწივნენ. ჩვენებმა (თ. ბებუთოვი ქვემო-უბანს ეკუთვნოდა) მზადება დაიწყეს ერთიანად იერიშით მოსვლისათვის და დაიჭირეს სოლოლაკის მთის ყველა ვიწროები, ხევები. ამის მიზეზი აი რა იყო: ჩვენმა შაჰმა წინაღამეს, შუაღამისას, მალულად გა...
ნა ერთი ნაწილი თავის ჯარისა ...
ლოლაკის მოსარებად მეორე ...
დამ, ექვს-ვერსზედ, სოფ. ტაბახმე...
ში. ამათ ნაბრძანები ჰქონდათ, ...
მეორე დღეს, ორშაბათს გამოსულ...
ნენ, შუა დღეზე დაჰყოლოდნენ ...
ლოლაკის მთისკენ და დასცემოდ...
მტერს; ამასთანავე ოქროყანის ...
მთაზედ დაეყენებინათ კარგი მოშ...
დულენი.

„რაკი ეს ჩვენი ჯარი გამოჩნ...
ჩვენ მოწინააღმდეგეთ, რამოდენ...
იბრუნა პირი და შესახვედრად ...
უდგნენ მთას. ათასობით გამო...
ორივე მხრიდამ მოშურდულე...
ყვასავე მოდიოდა ქვები. ბრძო...
თითქმის ერთს საათს გაგრძელდა ...
გამარჯვება ჯერ არავისკენ არ ...
ქვემო-უბანმა მოასწრო, როგორ...

...ნენ გზაზედ, ქალაქიდამ სამ ვერსზედ და პურ-მარილი მიართვეს; აქვე მიართვეს თხოვნები. იქ საზოგადოებასთან დახვდენ პოლიციის პრისტავი დუმბაძე და მომრიგებელი შუამავალი თ. გიორგი წულუკიძე.

თურმე პოლიციამ რომ შეიტყო, საქმე ცუდად იყო და საზოგადოება სულ სხვა თხოვნას აძლევდა, და ზოგი საჩივარიც იყო პოლიციაზე, დასწერა ცალკე თხოვნები მამასახლისებისათვის, რომლებშიაც ეწერა: სულ ტყუილიაო, რასაც საზოგადოება თხოულობსო, ხალხი თვით ავაზაკები არიანო და ამ გვარები.

ეს თხოვნები მიუტანეს მამასახლისებს დუაბზუის კანცელარიაზედ (სადაც საზოგადოებამ პურ-მარილი მიართვა მთავარ-მმართებელს), ხელი მოაწერინეს მათ და პრისტავმა დუმბაძემ და მომრიგებელ-შუამავალმა წულუკიძემ უჩუმრად გაიხმეს ისინი და უბრძანეს მიართვითო; მაგრამ ხალხმა შეიტყო ეს მათი ხრიკი, მოსთხოვეს მამასახლისებს ეჩვენებიათ მათთვის, რა თხოვნა იყო და, როცა შეიტყვეს, ერთ ხმით დასძახეს: დახიეთო: შეიქნა ყვირილი და ხმაურობა; ბოლოს გამოართვეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ეს ყალბი არზა.

ახლა ქალაქის ამბავი. წინა დღით, 5 ივლისს, შეიქმნა წმენდა, გვა, ლამფების კეთება სვეტებზედ, ვენზელების და ფანრების კეთება და სხვ. ქუჩაზე რო ქვები იყო დაყრილი, კაცის უშონლობის გამო, თვითონ, მაზრის უფროსის თანა შემწემ ბ. იუნოშამ თავის ხელით გადაჰყარა. ადრე რომ კაცს ქუჩაზე გარება ეზიზღებოდა, გუშინ ისე სუფთად იყო, რომ სიარული გესიამოვნებოდათ.

ქალაქის შემოსავალში, სადაც ტრიუმფის კარები იყო გამართული, საზოგადოება დახვდა და ქალაქის დეპუტაციამ პურ-მარილი მიართვა. აქ მთავარ-მმართებელი კარეტიდამ ჩამოხტა და საზოგადოებას უთხრა დაახლოვებით შემდეგი სიტყვები: „ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც მე კავკასიაში არ ვყოფილვარ; მე თითქმის აქ გაზრდილი ვარო; კავკასიის სიყვარული მუდამ მქონდა გულში, მაგრამ მაინც არ მეგონა თუ ვნახავდი სახელ-განთქმულს კავკასიის ხალხსო. ახლა უმაღლესის მმართებლობის ბრძანებით მე კიდევ მეღირსა კავკასიაში სამსახური და იმედი გქონდესთ, რომ თქვენს გაჭირვებას ყველას მხედველობაში მივიღებ და, თქვენი დახმარებით, თქვენი კეთილ-დღეობისათვის ვიზრუნებ თქვენი ბედ-იღბალის გასაუმჯობესებლად.

ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და დასძახეს სამჯერ: „ურა!!!“

აქიდგან მთავარ-მმართებელი ფეხით წამობრძანდა ქალაქის საყდრამდი. საყდარში ჩვენმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შესხმა უთხრა, რომელშიაც, სხვათა შორის, გამოსთქვა, რომ: თუ გურიის საეპარხიოზე იქმნებიან მიწერილნი ბათომის, აჭარის და ქარსის (?) სიეპარქიოები, მაშინ ზნეობითი მდგომარეობა გურიისა და აგრეთვე ზემოთქმულ კაცთხევებისაო გაუმჯობესდებაო. ამაზე მთავარ-მმართებელმა მადლობა გამოუცხადა და თქვა: „ვეცდებიო, რომ ეს კეთილი თქვენი სურვილი ავასრულოვო“.

აქედამ წამოვიდენ ფეხით ახლად-მიცვალებულ თ. დიმ. გურიელის სახლში, სადაც აზნაურ-თავადობამ თავისი ყველასგან ხელ-მოწერილი თხოვნა მიართვა და პირადად მოსალაპარაკებლად წარუდგინა სამი კაცი: თ. ლევან გურიელი, თ. გიორგი გუგუნავა და აზ. ბებურა ბებურიშვილი, რომელნიც მოახსენებენ ბ-ნს მთავარ-მმართებელს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, და სწორედ ბარაქალას თქმის ღირსნი იქნებიან, თუ ყველა ჩვენი საჭიროება გარკვევით გააგებინეს ბ-ნს მთავარ-მმართებელს. მთავარ-მმართებელმა თავად-აზნაურობას მადლობა გამოუცხადა პატივის-ცემისა და მიგებებისათვის. ოზურგეთში მთავარ-მმართებელმა ბევრი თხოვნები მიიღო ხალხისაგან; ამბობენ, ოთხასამდი იყოვო, თუ მეტი არა. შემდეგში გაუწყებთ რა თხოვნა მიართვა თავად-აზნაურობამ და მოქალაქეებმა.

წალდაძე.

ფოთი, 7 ივლისს. არა მგონებსადმე მთელს დედა-მიწის ზურგზედ იყოს ხალხი იმ შიშში, როგორშიაც ვართ ჩვენ ფოთელები. ქურდებმა და ავაზაკებმა იქამდის გაიმაგრეს ფეხი, რომ რაც უნდათ, იმას შვრებიან: სახლებს ხტეხენ, ეზოში, ქუჩებში კაცებს სცარცვენ და სჩეხენ.

წარსულს კვირაში სამი ავაზაკი დაუხვდა ტელეგრაფის სტანციის პირდა-პირ გრიგორ ვანციევს, ჯერ დახჩობა სდომებიათ, ვერ დაუხრჩვიათ, მერე რევოლვერი უკრავსთ, ბარკალში დაუჭრიათ და 2,500 მანეთი წაურთმევიათ და გაქცეულან. მეორე ღამეს დახვდნენ ბუხტში მიმავალს დოქტორს მონდვიჩს, მაგრამ ამას ვერა წაართვეს-რა, რადგანაც სწრაფად რევოლვერით მიეშურებია და ავაზაკები გაქცეულან. როგორც ამბობენ, ერთი მათგანიც დაუჭრია დოქტორს. შემდეგ ამისა ეწვივნენ ჩვენს ბანკს. საურთიერთო ნდობის საზოგადოებას; მაგრამ ვერც არაფერი აქედამ წაიღეს, ყარაულების მოწყალეებით. რამდენს სხვა მოსახლეებს ეწვივნენ — ანგარიში არა აქვს.

ეს ბატონები ქალის ტანისამოსით დაბრძანდებიან და ისე ავაზაკობენ! ორი ამათგანნი უკვე დაიჭირა პოლიციამ. იმედია, დანარჩენებსაც დაიჭერენ, თორემ თქვენი მტერი ჩვენ გაჭირებაში ვართ: მზის ჩასვლის შემდეგ გარეთ ფეხის გადგმა არ შეგვიძლიან ამ ბატონების შიშით.

მადლობა ღმერთსა, ქუჩებს ნელ-ნელა გვიკეთებენ. ჩვენმა ქუჩების ინჟინერმა სტეფანამ რაკი გამოილვიძა, ახლა აღარაფერი გვიჭირს, იმედია, შარშანდელივით ველარ ვნახავთ ზამთარში მახრჩობელა ქუჩის წუმპოებს.

ცოტა ფარნებსაც და სინათლესაც რომ მოუმატებდნენ, უფრო კარგი გვექნება.

თუმცა ძალიან დაგვიცხა, ზღვის ნიავის მოწყალეებით ვერ ვგრძნობთ სიცხეს.

მაგიერად ერთობ შეგვაწუხა ყოველივე ხორაგეულობის სიძვირემ. ეს სიძვირე არც ომიანობის დროს გვინახავს და არც ხორელობისა. ამ სიცხეებში ურიგო არ იქნება, დოქტორმა დაათვალიეროს მეზუტკეების საქონელი თევზეულობა და ხილეულობა, მიკიტანხანები, ტრახტირები და სხვა, თორემ ვინ იცის — როგორ ხორაგეულსა და საჭმელებს ჰყიდიან.

ერთი აქ მცხოვრებელთაგანი.

# უცხოეთი

## ეგვიპტეს ამბები

საფრანგეთის მინისტრთა რჩევას ჰქონია მოლაპარაკება ეგვიპტეს საქმეებზე. ზოგიერთ ფრანცუზულ გაზეთების სიტყვით, ადვილად შესაძლებელია, რომ ეგვიპტეს საქმეების შესახებ, საფრანგეთმა ინგლისთან ერთად იმოქმედოსო. სუეზის არხსაო, ამბობენ გაზეთები, მარტო ინგლისისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ, როგორც საფრანგეთისა ისე მთელი ქვეყნისათვის.

— ინგლისის დეპუტატთა პალატაში ინგლისის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ჩარლზ დილკმა სთქვა, რომ ყველა ევროპის სახელმწიფოთა მოუწონეს ინგლისს მოქმედება ეგვიპტეშიო. — ამაზედ ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, რომ სერ დილკის ნათქვამი არ ეთანხმება ავსტრიისა და გერმანიის შეხედულებას ამ საქმეზედო. განსაკუთრებით ავსტრო-ვენგრია არ იწონებს ინგლისის მოქმედებასაო ეგვიპტეში. მხოლოდ ინგლისი უნდა გახდეს პასუხის-მგებლად იმაში, რაც ეგვიპტეს დღე დაადგა ამ ცოტა ხნებში. იქნება, სერ დილკმა ამ პასუხის-გებაში სხვა სახელმწიფოც შეიყვანოსო.

— ალექსანდრიადამ აცნობებენ რეიტერის სააგენტოს: არაბი-ფაშა ქარღევარშია; მას ჰყავს ოთხი პოლკი ქვეითი ჯარი, ორი პოლკი ცხენოსანი, 800 ცხენი, 36 ზარბაზანი კრუპისა და 12 მიტრალიეზი.

— ამავე სააგენტოს იქიდამვე მოსვლია ცნობა, რომ, ეგვიპტის მმარ-

იქნა, შემაგრება მთის ნახევარზედ და შეძლებისამებრ თავს იცავდა შურდულით გამოშვებულის ქვებისაგან. ამ დროს ტაბახმელიდამ წამოსული ჩვენი მებრძოლნი მოუახლოვდნენ მტერს, და გაიმართა ფიცხელი ომი. ზემო-უბანს ამათ გასაშველებლად უნდა გამოეგზავნა თავის საუკეთესო მებრძოლნი და ამით ძალა შეემცირებინათ.

გაცხარდა ომი; გამოჩენილ მეომართა მიიღეს უკვე მონაწილეობა და ჩაერივნენ სარდასტებით (ხის ხმლებით). ქვების სროლა შესწყდა, რადგანაც ომის წესდებით, როდესაც გამოჩენილი მოემარნი ჩაერევოდნენ ბრძოლაში, მაშინ შურდულის ხმარებას სიმხდალედ ჩამოართმევდნენ ყველას. ზემო-უბანმა უკან დაიწია; ქვემო-უბანმა დაიჭირა მთა — და მტერი დაეშვა ძირს სოლოლაკისკენ, ხეობაში მისდევდნენ ამათ თვით მთავარ-მმართველის სასახლემდე. რომ დევნული მტერი ქალაქში არ შემოსულიყო, ყველა კარები დაჰკეტეს.

„მთავარ-მმართველი თ. ციციანოვი თავის ამალით გამოვიდა ბალკონზედ, რომ გარდაეხედა ბძოლისათვის. თავადს მოახსენეს, რომ ზემო-უბნის დამარცხების მიზეზი თვით ამ უბნის შაჰი არისო, რადგან მან შეურაცყოფა მიაყენა თავის გამოჩენილ მეომარს საათოს იმით, რომ არ მისცა მას ნათხოვი ფული. საათომ, 40 თუ 50 საუკეთესო მეომარის კაცებით უარი განაცხადა ომში მონაწილეობაზედ.

„მთავარ-მმართველმა მიიხმო საათო და ჰკითხა, შეუძლია თუ არა, რომ ზემო-უბნის ღირსება დაიცვას, დამარცხებისაგან გამოიყვანოს. საათომ, შემიძლიაო, მოახსენა, მიიღო საჩუქარი და თავის მომხრეებით შეუტია ქვემო-უბნელებს. უცბად გაიქცია საათომ მტერი. სდევნა სოლოლაკის სიმაღლემდის, და აქ უნდოდა მტერი ხევში გადაეყარა... უეცრად, ამ დროს შურდულის ქვა მოხვდა მას სწორედ მარჯვენა თვალში... საათო დაეცა. საშინელი შეტაკება შეიქნა: მოინდომეს დაჭრილი საათოს დატყვევება მისიანები არ ეშვებოდნენ და მწარედ იბრძოდნენ...

„ბრძოლის ველზედ მოვიდა თ. ციციანოვი ცხენით და მაშინვე გაგზავნა თავის ამალა, შეეწყვიტათ ომი და მოენახათ მეშურდულე, რომელმაც კრივის წესის წინააღმდეგ გაბედა, ხმლით მოქმედების დროს, შურდულის ხმარება და თვალი წამოაგდებინა საათოს.

„ბრძოლა შესწყდა. საათო ცოცხალი დარჩა, მხოლოდ მარჯვენა თვალი დაჰკარგა, ფიცის-გამტეხი მეშურდულე კი ველარ აღმოაჩინეს. ამ დღეს არავინ მომკვდარა, რადგან ბრძოლა კრივის წესიერებისამებრ მიდიოდა, გარდა ამ ერთ შემთხვევისა. გატეხილის თავით, გაფუჭებულის თვალით და დამახინჯებულის სახით კი ბევრს შეხვდებოდით“.

თებლობის თანხმობით, ადმირალი სეიმური იღებს თავის-თავზედ მშვიდობიანობა ჩამოაგდოს ალექსანდრიაში, რაზედაც მანიფესტიც გამოუცია... ეცხლის წამკიდებელთ დახვრეტენ,— მზის ჩასვლის შემდეგ ყველას აკრძალული აქვს ქალაქს გარედ გასვლა და სხვ.

— ინგლისის მთავრობამ გამოიწვია ინდოეთიდამ ჯარები, რომელნიც დანიშნული არიან ეგვიპტეს დასამშვიდებლად.—ამას გარდა, 3,000 კაცი ინგლისის ჯარებისა უკვე წავიდნენ ეგვიპტეში არაბი-ფაშის წინააღმდეგ.

— ადმირალ სეიმურს, ინგლისის ჯარების უფროს ეგვიპტეში, მოსვლია ცნობა, რომ ყოველ გვარ მზადებას არაბი-ფაშა ქედივის სურვილის წინააღმდეგ შვრებოდაო და ამის გამო პასუხის-მგებელიც ყველაფერში არაბი-ფაშა უნდა იყვესო. ქედივმა კიდეც გარდაწყვიტა, რომ არაბი დაეთხოვა სამ ახურიდამაო, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანა ეს გარდაწყვეტილება, რადგანაც კაიროში და ზოგიერთ ქალაქებში არეულებას მოელოდაო.

# განცხადებანი

სოფელ მარტყოფში მიეცემა საზაფხულო სახლები სამი ოთახით თავის კუხნით ან ორი ოთახი აგრეთვე კუხნით ეზოთი პირველს ენკენის თვემდი. ფასის მორიგება შეიძლება მღვდელ პეტრე მბიტოვთან. (3—3)

---

გ. ნიკოლოზის-ძე იოსელიანი იღებს თვისს პანსიონში ემაწვილებს პიროვნით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა № 81. (5—3)

---

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—12)

---

## მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—5)

---

ახალი ქართული

## ქარაგადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუჩ

## ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკლებით, ვიდრე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროჩანა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ: პადნოსები 5 კ.—დამ, ქურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—97)

---

ქართველი **სტუდენტი** ეძებს გაკვეთილებს.

ადრესი — შავერდოვის აგენსტვოში.

---

მერვე კლასსის გიმნაზიელი

აძლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაში.

---

### ისყიდება

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბ-ნ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

### იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბ-ნ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის საგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—4)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

---

ვიღებ მოსაქსოვად სახლის ფანჯრებისთვის მაღაზიებისთვის და ბალკონებისთვის

## შტორებს—ფარდებს

ზედ წარწერით და მხატვრობით—ისე, როგორც პატრონი (ზაკაზჩიკი) ისურვებს. აგრეთვე ვიღებ გასაკეთებლად ოთახებისთვის

## შირმებს

მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ ფრანგების ქუჩაზე, ებრაელების სალოცავის მახლობლად სახლი № 22. (5—5)

---

### ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ივლისიდამ 15 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი